



ATIPfund
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030893293719516

№ 07-99/ო

19 / აგვისტო / 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2014 წლის 22 მაისის №07-80/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 10 აგვისტოს №01/61056 წერილის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2014 წლის 22 მაისის №07-80/ო ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის“ დებულებაში“ შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფილიალი წარმოადგენს საადმინისტრაციო საქმიანობის განმახორციელებელ სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სოციალურ მომსახურებას უწევს 0-დან 7 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, ასევე 7 წლიდან 11 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც 7 წლის ასაკის შესრულებისას წარმოადგენენ ფილიალის ბენეფიციარებს (შემდგომში – ბენეფიციარი).“;

ბ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. ფილიალში ბენეფიციარის ჩარიცხვის და ამორიცხვის წესი

1. ფილიალში ჩარიცხვას ექვემდებარება 0–დან 7 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი

თამილა ბარკალაია

